ნარატივი 5-6 წლის და 9-10 წლის ბავშვებში

მარიამ ოთიურიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

სარჩევი

აბრევიატურების ჩამონათვალი 3

აბსტრაქტი 4

Abstract 6

შესავალი 7

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა 11

1.1. ნარატივის ფორმები 11

1.2. ნარატივის განვითარება 16

1.3. ნარატივის კვლევის მეთოდოლოგია 19

თავი 2. Mean Length of Utterance (MLU) - გამონათქვამის საშუალო სიგრძე 31

2.1. საკვლევი კითხვები 36

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია 37

3.1. კვლევის დიზაინი 37

3.2. კვლევის მონაწილეები და გამოყენებული ინსტრუმენტი 37

3.3. კვლევის პროცედურა 39

თავი 4. შედეგები 40

დისკუსია 44

კვლევის შეზღუდვა 47

შეჯამება 47

გამოყენებული ლიტერატურა 49

დანართი 1 51

დანართი 2 52

დანართი 3 54

აბრევიატურების ჩამონათვალი

- MLU – Mean Length of Utterance (გამონათქვამის საშუალო სიგრძე)
- SALT – Systematic Analysis of Language Transcripts (ენის ტრანსკრიპტების სისტემატური ანალიზი)
- NSS – Narrative Structure Score (ნარატიული სტრუქტურის ქულა)
- SNAP – The Strong Narrative Assessment Procedure (ძლიერი ნარატიული შეფასების პროცედურა)
- INC – Index of Narrative Complexity (თხრობის სირთულის ინდექსი)
- TNL – Test of Narrative Language (თხრობითი ენის ტესტი)
- ENNI – Edmonton Narrative Norms Instrument (ედმონტონის ნარატიული ნორმების ინსტრუმენტი)
- MAIN – Multilingual Assessment of Narratives (ნარატივის მრავალენოვანი შეფასება)

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა სკოლამდელი - 5-6 წლის და სკოლის ასაკის - 9-10 წლის ბავშვთა ნარატივის კვლევა მერსერ მაიერის (1969) ნახატებიანი წიგნის - ''ბაყაყო სად ხარ?''-ის მიხედვით. კვლევის ფარგლებში მოხდა თხრობისას გამოყენებული სიტყვების საშუალო რაოდენობის გამოთვლა თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში და ასევე ზმნისწინებისა და თანდებულების საშუალო რაოდენობის განსაზღვრა.

მოცემული კვლევა წარმოადგენს ნათელა იმედაძის (1999) კვლევის - ''MOTION VERBS IN GEORGIAN CHILDREN'S NARRATIVES'' ნაწილობრივ რეპლიკაციას და მისი მიზანია მიღებული შედეგების მიხედვით ზმნისწინიანი ზმნების პროცენტული რაოდენობის შედარება ნათელა იმედაძის მიერ 23 წლის წინ ჩატარებული კვლევის შედეგებთან. ასევე აღნიშნული მოთხრობის ფარგლებში მოხდა გამონათქვამის საშუალო სიგრძის (MLU) გამოთვლა. ნარატივი შეფასდა სიუჟეტის სტრუქტურის მიხედვით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 40-მა ტიპური განვითარების მქონე ბავშვმა, რომელთა მშობლიური ენა იყო ქართული. ბავშვების შერჩევა მოხდა თავისუფალი შერჩევის საფუძველზე. 5-6 წლის ბავშვთა შეფასება მოხდა ქართულენოვანი პოპულაციის ნორმებზე მორგებული ასაკებისა და ეტაპების კითხვარის მეშვეობით (ASQ), ხოლო 9-10 წლის ბავშვთა შეფასება მოხდა დემოგრაფიული და აკადემიური მოსწრების კითხვარით. თითოეულ ჯგუფში იყო 20 ბავშვი, თუმცა საბოლოო ჯამში მოხდა 19-19 ბავშვის საერთო მონაცემების დათვლა, რადგან ორივე ჯგუფში გამოიკვეთა თითო ბავშვი, რომელთა მონაცემებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თანატოლებისგან. მათი მონაცემების განხილვა მოხდა ცალკე და წარმოდგენილია დანართის სახით.

კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა საკმაოდ დიდი განსხვავება ნათელა იმედაძის კვლევასთან შედარებით. მისი კვლევის მიხედვით, სკოლამდელი ასაკის ჯგუფში თხრობისას გამოყენებულ ზმნათა 86% იყო ზმნისწინიანი, ხოლო 9-10 წლიან

ჯგუფში ეს მაჩვენებელი იყო 93%. მოცემულ კვლევაში კი 5-6 წლიან ჯგუფში საერთო ზმნების 63,9% და 9-10 წლიან ჯგუფში 69,9% აღმოჩნდა ზმნისწინიანი, რაც გვიჩვენებს 22,1% და 23,1%-იან სხვაობას. რაც შეეხება MLU-ს, 5-6 წლიან ჯგუფში უფრო მაღალი შედეგი გამოვლინდა - 13,04, ვიდრე 9-10 წლიან ჯგუფში - 11,97.

საკვანძო სიტყვები: ნარატივი, ზმნისწინი, თანდებული, MLU.

Abstract

The purpose of this study is to study the narrative of preschool children aged 5-6 years and school children aged 9-10 years, according to Mercer Meyer's (1969) picture book - "Frog, Where are You?". The study calculated the average number of words used in the narrative in each age group and also determined the average number of verbs and adverbs.

This study is a partial replication of Natela Imedadze's (1999) study "MOTION VERBS IN GEORGIAN CHILDREN'S NARRATIVES" and aims to compare the percentage of verbs with the results of the original study performed by Natela Imedadze and calculate the mean length of utterance (MLU).

The study involved 40 children with typical development whose native language was Georgian. The sample size of the children was selected based on free selection. Children aged 5-6 years were assessed using the age-appropriate population and age questionnaire (ASQ), while children aged 9-10 years were assessed using the Demographic and Academic Achievement Questionnaire. There were 20 children in each sample group. The results portion of the study represented, both sample groups, each having 19 participants; with one child in both groups being identified as having data that differed significantly from their peers. The outlier data was discussed separately and is presented as an appendix.

According to the results of the research, a big difference was revealed compared to the original research performed by Natela Imedadze. According to her research, 86% of the verbs used in narration in the preschool age group were prepositions, while in the school-age group this figure was 93%. In the present study, 63.9% of the common verbs in the 5-6 age group and 69.9% in the 9-10 age group were found to be prepositional, showing a difference of 22.1% and 23.1%. As for the MLU, a higher result was found in the 5-6-year-old group - 13.04 than in the 9-10-year-old group - 11.97.

Keywords: Narrative, Adverb, Adjective, MLU.